



**სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
ხელშეკრულება №5.1.16/30/109**



ქ.თბილისი

03 სექტემბერი 2020 წელი

ერთი მხრივ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონის გამგეობა, წარმოდგენილი მისი გამგებლით ლევან ჯაფარიძეს სახით (შემდგომში - შემსყიდველი),
მისამართი: ქ. თბილისი კრწანისის ქუჩა მეორე შესახვევი №33
საიდენტიფიკაციო კოდი: № 204521776
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიო ხაზინის ერთიანი ანგარიში
ბანკის კოდი: TRESGE22

მეორეს მხრივ, შპს. „ბ.რ.ს. თბილისი“, წარმოდგენილი მისი დირექტორის ირაკლი ბათირაშვილის სახით (შემდგომში - მომწოდებელი),
მისამართი: ქ. თბილისი ზეკარის ქ.№16
საიდენტიფიკაციო კოდი: № 400163345
ტელეფონის ნომერი: 595 98 61 61
საბანკო რეკვიზიტები: სს „საქართველოს ბანკი“
ბანკის კოდი: BAGAGE22
ანგარიშის ნომერი: GE03BG0000000161080508

შემდგომში თითოეული ცალ-ცალკე წოდებული, როგორც „მხარე“, ხოლო ერთობლივად წოდებულნი, როგორც „მხარეები“, (საფუძვლები დამოკიდებულია ტენდერის სახეზე) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-161 მუხლის პირველი პუნქტის „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ-სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 4 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის 33- ე მუხლის პირველი პუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემით გამოცხადებული ელექტრონული ტენდერის (NAT200011324) შედეგების საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდეგზე:

მუხლი 1. შესყიდვის ობიექტის დასახელება და შესაბამისი CPV კოდი

1. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს ქ. თბილისში, კრწანისის რაიონის ტერიტორიაზე ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების საერთო საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლების საერთო სარგებლობის ხის, ლითონის კიბეების, აივნების, სადარბაზოს კარის, ეზოს ჭიმკრის მოწყობა ან/და შეკეთების სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის CPV კოდია: 45300000

მუხლი 2. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

- 2.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით;
- 2.2. „ხელშეკრულების ღირებულება“-საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
- 2.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე;
- 2.4. „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
- 2.5. „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში;
- 2.6. „გამგებელი“- პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (გამგებელი);
- 2.7. „გამგებლის მოადგილე“- პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე (გამგებლის მოადგილე).

მუხლი 3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

- 3.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 54 500(ორმოცდაათთხმეტი ათას ხუთასი) ლარს;
- 3.2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს მიმწოდებლისათვის მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ ყველა გადასახდელს.

მუხლი 4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

4.1. ხელშეკრულების ძალაში შესვლის ვადაა ხელშეკრულების გაფორმების დღე;

4.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება შემსყიდველის მიერ გაცემული წერილობითი დავალების შესაბამისად;

4.3. შესყიდვის ობიექტის სამუშაოების მიწოდების საბოლოო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან ეტაპობრივად 2020 წლის 20 დეკემბრის ჩათვლით.

4.4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი მუნიციპალიტეტი კრწანისის რაიონის გამგეობის ტერიტორია.

4.5. შესყიდვის ობიექტი მიწოდებულად ითვლება ორმხრივ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ;

მუხლი 5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების ობიექტის (ნაწილის) მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, ფორმა №2-ის საფუძველზე და ააიპ თბილისის მუნიციპალიტეტის ლაბორატორიის დადებითი დასკვნის საფუძველზე.

5.2. თუ შესყიდვის ობიექტი არ აკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს, იგი უფლებამოსილია საგარანტიო პერიოდში მოითხოვოს არსებული ხარვეზების გამოსწორება. ხარვეზების გამოსწორებამდე შემსყიდველი უფლებამოსილია უარი თქვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული სანაცვლო ვალდებულებების შესრულებაზე, რის შესახებაც მიმწოდებელს ეცნობება წერილობით.

5.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების, ასევე მესამე პირის დაზიანებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ეკისრება „მიმწოდებელს“.

5.4. მიმწოდებლის მიერ წარდგენილი შესრულებული სამუშაოები მიღებულად ჩაითვლება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტების დადასტურებიდან და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ რომელზეც შემსყიდველის მხრიდან ხელს აწერს თანადაფინანსებული პროექტების განყოფილების უფროსი

მუხლი 6. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

6.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ შესყიდვის ობიექტი იქნება სტანდარტებთან შესაბამისობაში;

6.2. შესყიდვის ობიექტს არ უნდა გააჩნდეს უფლებრივი ან/და ნივთობრივი ნაკლი რომელიც აუარესებს მისი გამოყენების მაჩვენებელს;

6.3. სამუშაოები უნდა ჩატარდეს იმ გარანტიით, რომ შესყიდვის ობიექტი სწორი ექსპლუატაციის პირობებში არ გამოავლენს დეფექტებს მისი ჩაბარებიდან მინიმუმ 3 (სამი) წლის განმავლობაში.

6.4. შემსყიდველი ვალდებულია საგარანტიო პერიოდში წერილობითი ფორმით დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს ნაკლის აღმოჩენის შესახებ.

6.5. ამ მუხლის 6.3 პუნქტით განსაზღვრული, შესრულებული სამუშაოს საგარანტიო ვადის განმავლობაში რაიმე წუნის (ნაკლოვანებები, დეფექტი) აღმოჩენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებიდან, შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს მისი აღმოფხვრა და მესამე პირებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

6.6. შეტყობინების მიღების შემდეგ „მიმწოდებელი“ ვალდებულია შემსყიდველის მიერ მითითებულ ვადაში აღმოფხვრას არსებული დეფექტები საკუთარი ხარჯით. „მიმწოდებელს“ დაეკისრება, როგორც ხელშეკრულების ობიექტის დეფექტების აღმოფხვრა, ასევე აღნიშნული დეფექტების შედეგად შემსყიდველისა და მესამე პირებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

6.7. თუ „მიმწოდებელი“ ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებით მიღებული შეტყობინების შემდეგ არ შეასრულებს თავის ვალდებულებებს, „შემსყიდველს“ უფლება აქვს „მიმწოდებლის“ ხარჯით უზრუნველყოს არსებული დეფექტების გამოსწორება.

მუხლი 7. ანგარიშსწორება

7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარში;

7.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება ეტაპობრივად უნაღდო ანგარიშსწორებით; 2020 წლის ბიუჯეტით

7.3. წინასწარი ანგარიშსწორება გათვალისწინებული არ არის.

7.4. ანგარიშსწორება „შემსყიდველის“ მიერ მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა და წინამდებარე ხელშეკრულების მე-5 მუხლში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ არაუმეტეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

7.5. იმ შემთხვევაში თუ „მიმწოდებელი“ დაარღვევს შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადებს, ან სხვა გარემოებების გათვალისწინებით დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, „შემსყიდველი“ უფლებამოსილია უარი თქვას სანაცვლო ვალდებულების შესრულებაზე მიმწოდებლის მიერ პირგასამტეხლოს თანხის სრული ოდენობით დაფარვამდე.

მუხლი 8. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი

8.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების, შესრულებული სამუშაოს მოცულობის, ხარისხისა და შესრულების ვადების დაცვის კონტროლს (ინსპექტირება) ახორციელებს ბინათმესაკუთრეთა განყოფილება.

8.2. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე, შემსყიდველი უფლებამოსილია, განახორციელოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება).

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტ(ებ)ის აღმოფხვრა და კონტროლის (ინსპექტირების) ხელახლა განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება.

მუხლი 9. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

9.1. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) გადასცეს მიმწოდებელს ინფორმაცია შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა არსებითი გარემოების შესახებ;

ბ) შეუფერხებლად აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოების ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და ვადების შესაბამისად.

9.2. შესყიდველს უფლება აქვს:

ა) განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;

ბ) წარმოქმნილი აუცილებლობის შემთხვევაში დააზუსტოს შესასრულებელი სამუშაოების ნუსხა ხელშეკრულებით გათვალისწინებული საერთო ღირებულების ფარგლებში;

გ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეაჩეროს ან შეწყვიტოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების მოქმედება.

9.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) სამუშაოს შესრულების პროცესში იხელმძღვანელოს ხელშეკრულების მე-10 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად;

ბ) სამუშაო განახორციელოს ხელშეკრულების მე-4 მუხლში განსაზღვრულ ვადაში და ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად, რომელიც ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია და თან ერთვის მას;

გ) შემსყიდველთან შეთანხმოს სამუშაოების განხორციელებისას გამოსაყენებელი მასალ(ებ)ის იერსახე და ხარისხი;

დ) საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ინსპექტირების შედეგად და ხელშეკრულების მე-6 მუხლით განსაზღვრული წესით გამოვლენილი ყველა დეფექტ(ებ)ის აღმოფხვრა;

ე) შემსყიდველს უმოკლეს ვადაში აცნობოს მისი მოსალოდნელი რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ; ვ) დაიცვას შემსყიდველის მიერ მისთვის გადაცემული გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნისა და გარემოსდაცვითი მართვის გეგმის მოთხოვნები და პირობები (მათი არსებობის შემთხვევაში).

მუხლი 10. სამუშაოს შესაბამისობა

10.1. ხელშეკრულების პირველი მუხლით გათვალისწინებული მომსახურება მიმწოდებლის მიერ უნდა შესრულდეს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ჯეროვნად, მსგავსი მომსახურებისათვის უკვე დადგენილი სტანდარტების, ხელშეკრულებითა და მასზე თანდართული ტექნიკური დავალებით გათვალისწინებულ პირობების შესაბამისად.

10.2. ამ მუხლში განსაზღვრული წესებიდან და ნორმებიდან მიმწოდებლის მხრიდან ნებისმიერი გადახვევის ემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია, არ მიიღოს მომსახურება ან/და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს

ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები.

მუხლი 11. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

11.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

11.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოების შესრულების, დავალებით განსაზღვრული ვადის

დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, კონკრეტული დავალებით გათვალისწინებული სამუშაოს ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

11.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველს მოთხოვნისთანავე გადაუხადოს პირგასამტეხლოს სახით ხელშეკრულების შეუსრულებელი სამუშაოების ღირებულების 5% ასეთი მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღეში და უზრუნველყოს დარღვეული ვალდებულების დაუყოვნებლივ გამოსწორება, გარდა ამ მუხლის 11.2 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევისა.

11.4. ამ მუხლის საფუძველზე მიმწოდებლისთვის დაკისრებული პირაგასამტეხლოს დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია, მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოების ღირებულებიდან დაუკავოს თანხა დაკისრებული პირაგასამტეხლოს ოდენობით და მოახდინოს ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

11.5. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობით ან არაჯეროვნად შესრულებით მესამე პირისათვის მიყენებული ნებისმიერი სახის ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ეკისრება მიმწოდებელს.

11.6. მიმწოდებლის მიერ ჩადენილი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის, შემსყიდველისათვის დაკისრებული ადმინისტრაციული სახდელისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება მიმწოდებელს.

11.7. მიმწოდებელს ეკისრება სრული პასუხისმგებლობა ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის დარღვევის შემთხვევაში წარმოშობილ ზიანზე.

11.8. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების დანართით განსაზღვრული სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკის დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირაგასამტეხლო ყოველ დაგვიანებულ შესრულებულ სამუშაოზე, გეგმა - გრაფიკით გათვალისწინებული კონკრეტული პუნქტის ღირებულების 0,4%-ის ოდენობით.

მუხლი 12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია, მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის შესახებ, რაზედაც აცნობებს მეორე მხარეს წერილობითი ფორმით.

12.2. ხელშეკრულების შეწყვეტა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ხორციელდება მხარეთა შორის დანართის გაფორმების გზით.

12.3. შემსყიდველი უფლებამოსილია, ვადამდე, ცალმხრივად შეწყვიტოს ეს ხელშეკრულება თუ:

ა) მიმწოდებელი არღვევს (არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს) ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვალდებულებას/ვალდებულებებს;

ე) პროექტირებას დაქვემდებარებულ კონკრეტულ ობიექტზე მიღებული დეტალური ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ვადა, მიმწოდებლის მიერ დაირღვა და დეფექტური აქტების და საპროექტო დოკუმენტაციის წარდგენის ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობა შეადგენს 15 (თხუთმეტი) კალენდარულ დღეს;

ვ) ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებელმა ხელშეკრულების დადების მიზნით ჩაიდინა არაკეთილსინდისიერი ქმედება;

ზ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 13. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

13.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა;

13.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია;

13.3. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა;

13.5. ხელშეკრულებაში პირობების ცვლილება ფორმდება დანართის სახით და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 14. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

14.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

14.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

მუხლი 15. ფორს-მაჟორი

15.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევის შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

15.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

15.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

მუხლი 16. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

16.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე;

16.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 17 სხვა პირობები

17.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

17.2. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ საკუთარი სახელით, ხარჯითა და რისკით.

17.3. ხელშეკრულება შედგენილია ელექტრონულად ქართულ ენაზე რომლის ყოველა ელექტრონული ეგზემპლარი ორიგინალია.

17.4. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

17.5. ყველა დანართი და ხელშეკრულების დამატება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად და სავალდებულოა შესასრულებლად.

17.6. მხარეები სრულად არიან პასუხისმგებელი მათ მიერ ხელშეკრულებაში მითითებული რეკვიზიტების სისწორეზე. რეკვიზიტების ცვლილების თაობაზე მეორე მხარეს ეცნობება წერილობით.

17.7. ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის, ელექტრონული ფოსტის, დოკუმენტბრუნვის ან/და შესყიდვების ერთიანი ელექტრონულ გვერდზე ატვირთვის სახით, რომელიც ითვლება ოფიციალურად ჩაბარებულად.

მუხლი 18. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2024 წლის 31 იანვარის ჩათვლით.

19. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

<p>შემსყიდველი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონის გამგეობა მის: ქ. თბილისი, კრწანისის ქუჩა მე-2 შესახვევი №33; საიდენტიფიკაციო ნომერი: 204 521 776 საბანკო რეკვიზიტები: ხაზინის ერთიანი ანგარიში კრწანისის რაიონის გამგებელი: ლევან ჯაფარიძე (ტელ: 237-41-63)</p>	<p>მიმწოდებელი შპს „ბ.რ.ს. თბილისი“ მის: ქ. თბილისი ზეკარის ქ.№16 საიდენტიფიკაციო ნომერი:400163345 საბანკო რეკვიზიტები: სს „საქართველოს“ ბანკი ანგარიშის ნომერი GE03BG000000161080508 ბანკის კოდი: BAGAGE22 დირექტორი: ირაკლი ზათირაშვილი (ტელ: 595 98 61 61)</p>
---	---

ქ. თბილისში, კრწანისის რაიონის ტერიტორიაზე ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების საკუთრებაში არსებული საერთო სარგებლობის შენობის ხის და ლითონის კიბეები, აივნების, ჭიშკრის და ლითონის კარის შეკეთების სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა

№	სამუშაოების და ხარჯების დასახელება	განზ. ერთ.	რაოდენობა	ერთეული ფასი	ჯამი	ზღვრული ფასი
	საერთო სარგებლობის აივნების აღდგენა					
1	აივნის ჭერიდან დაზიანებული შეფიცვრის მოხსნა	კვ.მ	29.62	3.00	88.87	3.00
2	გარანდული ფიცრის აკვრა ჭერზე (სისქე 2-2.5სმ)	კვ.მ	29.62	15.00	444.36	15.00
3	ფიცარი	კუბ.მ	0.76	1120.00	847.50	1120.00
4	ლურსმანი 0.13	კვ	3.93	3.00	11.79	3.00
5	ჭეროს მოწყობა თაბაშირ-მუყაოს ფილებით	კვ.მ	29.62	7.00	207.37	7.00
6	თაბაშირ-მუყაოს ფილები 1.05	კვ.მ	30.91	19.00	587.33	19.00
7	აივნის ხის კონსტრუქციების (სვეტების) მოხსნა	კუბ.მ	0.64	250.00	161.00	250.00
8	აივნის საყრდენი ბოძების (სვეტების) მოწყობა	კუბ.მ	0.64	560.00	360.64	560.00
9	ხის მასალა 1.05	კუბ.მ	0.68	850.00	574.77	850.00
10	ლურსმანი 7.2	კვ	6.61	3.00	19.84	3.00
11	ნაჭედი (სკობები) 2.5	ცალი	1.61	12.00	19.32	12.00
12	ინვენტარული ხარჩოს მოშლა/მოწყობა	კვ.მ	66.65	10.00	666.54	10.00
13	კედლებიდან და ჭერიდან უვარგისი ნალესის მოხსნა	კვ.მ	1.51	2.00	3.03	2.00
14	კედლების და ჭერის ჩამოფხეკა/გასუფთავება, დაგრუნტვა, შეფითხვნა, დაზუმფარება და შეღებვა 2 პირი	კვ.მ	315.88	14.50	4580.29	14.50
15	გრუნტი (კონცენტრატი)0.07	კვ	22.12	6.00	132.73	6.00
16	ფითხი 0.55	კვ	173.75	0.65	112.94	0.65
17	ზუმფარა ბადეზე	ცალი	157.78	3.00	473.34	3.00
18	წყალემულსია კ 0.52	კვ	164.35	6.00	986.11	6.00
19	პიგმენტი	ცალი	12.88	3.00	38.64	3.00
20	ლესვა ქვიშა ცემენტის ხსნარით საშუალოდ 3-სმ/ზე	კვ.მ	44.44	8.00	355.49	8.00
21	ქვიშა ცემენტის ხსნარის მომზადება 1;3	კუბ.მ	1.33	15.00	20.00	15.00
22	ცემენტი 0.37	ტონა	0.49	230.00	113.31	230.00
23	ქვიშა 1.11	კუბ.მ	1.48	45.00	66.51	45.00
24	ალუმინის კუთხოვანას მონტაჟი კედლებზე	გრძ.მ	29.62	5.00	148.12	5.00
25	ალუმინის კუთხოვანა	გრძ.მ	29.62	4.00	118.50	4.00
26	დაზიანებული იატაკის მოშლა	კვ.მ	29.62	5.00	148.12	5.00

27	დაზიანებული იატაკის კოჭების მოშლა	გრძ.მ	15.05	4.00	60.20	4.00
28	ხის იატაკის მოწყობა 5 სმ სისქის	კვ.მ	29.62	20.00	592.48	20.00
29	ხის მასალა (მშრალი დამუშავებული) კ 1,1	მ3	1.61	1100.00	1771.00	1100.00
30	იატაკის კოჭების მოწყობა 0,1*0,2*100	გრძ.მ	14.30	15.00	214.45	15.00
31	ხის მასალა კოჭებისთვის (მშრალი დამუშავებული) კ 1,1	მ3	0.32	850.00	268.23	850.00
32	დაზიანებული შუშაბანდის დემონტაჟი	კვ.მ	14.30	5.00	71.48	5.00
33	შუშაბანდის, მოაჯირის, ფრონტონების და ფანჯრის ბლოკების მოწყობა(მშრალი ფიჭვით, ყველა საჭირო სამშენებლო მასალის გათვალისწინებით)	კვ.მ	14.30	150.00	2144.52	150.00
34	მინა 4მმ	კვმ	6.02	24.00	144.51	24.00
35	დაზიანებული მოაჯირის მოშლა	კვ.მ	14.30	3.00	42.89	3.00
36	მოაჯირის მოწყობა	კვ.მ	14.30	40.00	571.87	40.00
37	რიკულები (მხატვრულად დამუშავებული)	ცალი	17.39	35.00	608.58	35.00
38	სახელური (პერილა)	გრძ.მ	14.30	50.00	714.84	50.00
39	ლურსმანი	კვ	7.53	3.00	22.60	3.00
40	სჭვალი (თვითმცლელი)	ცალი	293.66	3.00	880.99	3.00
41	ხის ფითხი	კვ	7.53	11.00	82.88	1100.00
42	წებო	კვ	6.02	10.00	60.21	10.00
43	ხის კარებების, იატაკის, ჭერის, სვეტების, მოაჯირების, კიბეების და შუშაბანდის მომზადება შეღებვა (ორივე მხრიდან) ზეთოვანი საღებავით	კვ.მ	94.02	11.00	1034.26	11.00
44	ზეთოვანი საღებავი კ 0.5	კვ	47.01	7.00	329.08	22.00
	საერთო სარგებლობის ხის კიბეების აღდგენა					
1	ხის მთლიანი კიბის დემონტაჟი (კიბის პროექცია ჰორიზონტალურ სიბრტყეზე)	მ2	153.30	8.00	1226.43	8.00
2	ძველი კიბის საფეხურების დემონტაჟი	ცალი	26.08	3.00	78.24	3.00
3	კიბის ძელების (კოჭების) დემონტაჟი	გრძ.მ	18.81	5.00	94.04	5.00
4	კიბის შუბლის დემონტაჟი	ცალი	33.85	1.00	33.85	2.00
5	კიბის სამკუთხედების დემონტაჟი	ცალი	81.25	1.00	81.25	6.00
6	კიბის მოაჯირის დემონტაჟი	მ2	25.08	2.00	50.15	2.00
7	კიბის რიკულების დემონტაჟი	ცალი	81.25	1.00	81.25	2.00
8	კიბის უჯრედის გადახურვის ფენილის მოხსნა	მ2	18.81	5.00	94.04	5.00
9	კიბის ხის კარკასის დემონტაჟი	მ2	1.25	8.00	10.03	8.00
10	კიბის ბაჟნის იატაკის დემონტაჟი კოჭებით	მ2	1.43	10.00	14.34	10.00
11	კიბის ბაჟნის იატაკის დემონტაჟი კოჭების გარეშე	მ2	2.51	5.00	12.54	5.00
12	კიბის ხის კარკასის მონტაჟი (ახალი მასალით)	მ2	1.76	30.00	52.66	30.00
13	კიბის ხის კარკასის მონტაჟი (დემონტირებული მასალით)	მ2	2.51	30.00	75.23	30.00
14	კიბის საფეხურების საყრდენი ძელების მონტაჟი (ახალი მასალით)	გრძ.მ	37.62	12.00	451.39	12.00

15	კიბის საფეხურების საყრდენი ძელების მონტაჟი (დემონტირებული მასალით)	გრძ.მ	5.02	10.00	50.15	10.00
16	კიბის საფეხურის მოწყობა (ახალი მასალით)	მ2	30.09	35.00	1053.25	35.00
17	კიბის საფეხურის მოწყობა (დემონტირებული მასალით)	მ2	1.68	30.00	50.26	30.00
18	კიბის სამკუთხედის მოწყობა (ახალი მასალით)	ცალი	52.66	5.00	263.31	15.00
19	კიბის სამკუთხედის მოწყობა (დემონტირებული მასალით)	ცალი	4.01	20.00	80.25	20.00
20	კიბის შუბლის მოწყობა (ახალი მასალით)	მ2	10.03	40.00	401.24	40.00
21	კიბის შუბლის მოწყობა (დემონტირებული მასალით)	მ2	2.51	35.00	87.77	35.00
22	მოაჯირის მოწყობა, სახელურით და რიკულით (ახალი მასალით)	მ2	26.33	20.00	526.62	40.00
23	მოაჯირის მოწყობა, სახელურით და რიკულით (დემონტირებული მასალით)	მ2	1.25	30.00	37.62	30.00
24	კიბის რიკულების მოწყობა (ახალი მასალით)	ცალი	60.19	45.00	2708.35	45.00
25	კიბის რიკულების მოწყობა (დემონტირებული მასალით)	ცალი	2.51	25.00	62.69	25.00
26	კიბის საფეხურის. საფეხურის დამჭერი კედლების. რიკულების და მოაჯირის დამუშავება ფითხით და ზუმფარით შეღებვა 2 პირი ზეთოვანი საღებავით	მ2	20.06	15.00	300.93	15.00
27	ხის კარკასის მოწყობა კიბის უჯრედის გადახურვისთვის	მ2	15.05	40.00	601.86	40.00
28	კიბის უჯრედის გადახურვის ფენილის მოწყობა ფერადი პროფენილით სისქით არანაკლებ-0.5მმ (ფერი დამკვეთთან შეთანხმებით)	მ2	15.05	30.00	451.39	30.00
29	კიბის ბაქნის (იატაკის) მოწყობა კოჭებთან ერთად	მ2	1.25	30.00	37.62	30.00
30	კიბის ბაქნის (იატაკის) მოწყობა კოჭების გარეშე	მ2	1.25	15.00	18.81	15.00
32	საერთო სარგებლობის ლითონის კიბეების აღდგენა					
33	ძველი კიბის და აივნის დემონტაჟი	მ2	153.30	8.00	1226.43	8.00
34	ლითონის კიბის კონსტრუქციის მონტაჟი	ტ	0.76	850.00	645.93	850.00
35	შველერი (10) (კიბის საფეხურების საყრდენად)	გრძ.მ	4.56	22.00	100.31	22.00
36	ლითონის მილი 105 X 3 მმ	გრძ.მ	1.52	21.00	31.92	21.00
37	ლითონის მილი 50X3	გრძ.მ	2.28	11.00	25.08	11.00
38	მავთ.ბადე 4X4 მმ	მ2	3.80	19.00	72.19	19.00
39	კუთხოვანა 35X35 3 მმ (მოაჯირზე ბადის ჩასასმელად)	გრძ.მ	0.95	4.00	3.80	4.00
40	კუთხოვანა 50X50 3 მმ (მოაჯირზე ბადის ჩასასმელად)	გრძ.მ	0.95	7.00	6.65	7.00
41	კუთხოვანა 30X30 3 მმ (მოაჯირზე ბადის ჩასასმელად)	გრძ.მ	0.95	5.00	4.75	5.00
42	ქვიშა ცემენტის ხსნარი ადგილზე დამზადებით	მ3	0.23	135.00	30.78	135.00
43	ლითონის ფურცელი (სისქით არნაკლებ 2 მმ)	მ2	2.66	38.00	101.07	38.00
44	რკინის ზოლოვანა 40X4	გრძ.მ	2.66	3.00	7.98	3.00
45	მილი კვადრატი 40X40X3	გრძ.მ	0.95	7.80	7.41	7.80
46	მილი კვადრატი 40X20X2	გრძ.მ	0.95	9.00	8.55	9.00
47	მილი კვადრატი 20X20X2	გრძ.მ	0.95	3.10	2.94	3.10
48	მილი კვადრატი 15X15X2	გრძ.მ	0.95	4.00	3.80	4.00
49	მილი კვადრატი 40X60X2	გრძ.მ	0.95	9.00	8.55	9.00
50	მილი კვადრატი 100X40X2.5	გრძ.მ	0.95	15.00	14.25	15.00
51	მილი კვადრატი 60X60X3	გრძ.მ	0.95	12.00	11.40	12.00

52	მილი კვადრატი 100X100X3	გრძ.მ	0.95	21.00	19.95	21.00
53	მილი კვადრატი 80X80X3	გრძ.მ	0.95	18.00	17.10	18.00
54	შლიფოვკის ქვა	ცალი	0.38	10.00	3.80	10.00
55	კიბის აივნის მოაჯირის მონტაჟი	მ2	4.99	50.00	249.25	50.00
56	კიბის საფეხურების მონტაჟი რეფლიონით (აივნის ბაქნის და საფეხურებისათვის, საჭიროების შემთხვევაში მოხრით) 4მმ	მ2	2.39	150.00	359.06	150.00
57	კიბის, აივნის, საფეხურების და მოაჯირის დამუშავება-შეღებვა ნიტრო საღებავით	მ2	11.40	15.00	170.98	15.00
	სადარბაზოს (ლითონის) კარის დამზადება და მონტაჟი, საერთო სარგებლობის ეზოს ჭიშკრის კარების დამზადება, მონტაჟი და რეაბილიტაცია					
1	ძველი კარების დემონტაჟი	მ2	24.15	15.0	362.25	15.00
2	სადარბაზოს (ლითონის) კარის დამზადება და მონტაჟი, საერთო სარგებლობის ეზოს ჭიშკრის კარების აღდგენა	მ2	8.87	90.0	798.40	90.00
2.1	ლითონის ფურცელი (სისქით არნაკლებ 2 მმ)	მ2	10.27	38.0	390.33	38.00
2.2	რკინის ზოლოვანა 40X4	გრძ.მ	7.00	4.0	28.01	4.00
2.3	მილი კვადრატი 40X40X3	გრძ.მ	0.93	7.8	7.28	7.80
2.4	მილი კვადრატი 40X20X2	გრძ.მ	56.03	9.0	504.25	9.00
2.5	მილი კვადრატი 20X20X2	გრძ.მ	0.93	3.1	2.89	3.10
2.6	მილი კვადრატი 15X15X2	გრძ.მ	21.01	4.0	84.04	4.00
2.7	მილი კვადრატი 40X60X2	გრძ.მ	31.28	9.0	281.54	9.00
2.8	მილი კვადრატი 100X40X2.5	გრძ.მ	0.93	15	14.01	15.00
2.9	მილი კვადრატი 60X60X3	გრძ.მ	0.93	12	11.21	12.00
2.1	მილი კვადრატი 100X100X3	გრძ.მ	0.93	21	19.61	21.00
2.11	მილი კვადრატი 80X80X3	გრძ.მ	0.93	18	16.81	18.00
2.12	შველერი (18)	გრძ.მ	2.33	45	105.05	45.00
2.13	მზა რკინის ღეროები კარის ჩარჩოს გასამაგრებლად 12 მმ	გრძ.მ	4.67	2.9	13.54	2.90
2.14	კარის ანჯამა	ცალი	14.01	8	112.06	8.00
2.15	დ - (10-12) მასიური ფოლადის ღერო ("შპინგალეტი") კარის ჩასაკეტად	გრძ.მ	1.87	3.4	6.35	3.40
2.16	საკეტი კოდირებული	ცალი	1.87	90	168.08	90.00
2.17	კარის საკეტი (ჩვეულებრივი გასაღებზე)	ცალი	3.74	60	224.11	60.00
2.18	მინა არანაკლებ 4 მმ (ზომებზე დაჭრით)	მ2	2.33	25	58.36	25.00
2.19	ელექტროდი	კგ	3.74	7	26.15	7.00
2.20	რკინის საჭრელი ქვა	ცალი	0.93	5	4.67	5.00
2.21	კარის ავტომატური ჩამკეტი ("შვეიცარი") მონტაჟით	ცალი	5.60	49.83	279.21	90.00
3	რკინის კარის დამუშავება და შეღებვა ზეთოვანი საღებავით ორ პირზე (ფერი დამკვეთთან შეთანხმებით)	მ2	25.68	25	641.99	25.00
4	ბეტონის კედლების გახვრეტა	წერტ.	18.68	15	280.14	15.00
	საერთო სპეციფიკის სამუშაოები					
1	მასალის და გამზადებული კონსტრუქციის ტრანსპორტირება	ს/გეზი	1.00	50.00	50.00	50.00
2	სამშენებლო ნარჩენების ჩამოტანა	ტ	1.01	40.00	40.53	40.00

3	სამშენებლო ნარჩენების დატვირთვა ავტომანქანაზე	ტ	1.01	40.00	40.53	40.00
4	სამშენებლო ნარჩენების გატანა ავტომანქანით	ტ	1.01	50.00	50.66	50.00
	ჯამი				37745.12	
	ზედნადები ხარჯები	10%			3,774.51	
	ჯამი				41,519.63	
	გეგმიური დაგროვება	8%			3,321.57	
	ჯამი				44,841.20	
	გაუთვალისწინებელი ხარჯები	3%			1,345.24	
	ჯამი				46,186.44	
	დღგ	18%			8,313.56	
	სულ ჯამი				54,500.00	